11/10/2024

MES 6 24 0001318291

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 27.09.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 16:15 საათი
სხდომის თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
სხდომის მდივანი: მიხეილ გურგენიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 27 სექტემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
2. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
3. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
4. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
6. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

8. **ემილ ავდალიანი-** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
11. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი;
12. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

- გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

- დავით გურგენიძე - რექტორი, აკადემიკოსი;
- კარლო კოპალიანი - კანცლერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ზურაბ გუდავაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
- ზაზა სოფრომაძე - წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი;
- თამარ ლომინაძე - ვიცე-რექტორი, პროფესორი;
- თამარ წერეთელი - ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი
- თეიმურაზ ბულია - ვიცე-კანცლერი;
- დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- მიხეილ ჯანიკაშვილი - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
- არჩილ დადიანი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
- ბექა მაისურაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი ჭუმბურიძე - საფინანსო სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი სექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

- ანასტასიოს დაგიუკლას (Anastasios Dagiuklas)
- ეკატერი ნეფიფია
- ია ნაცვლიშვილი
- ანზორ ბერიძე
- გაიოზ ფარცხალაძე
- ნინო მინდიაშვილი
- მარიამ გორგოძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომისთავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

საბჭოს წევრებმა **ივანე ჯოგოდნიშვილმა** და **დავით ლეშკაშელმა** განაცხადეს თვითაცილება, დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტი ანასტასიოს დაგიუკლასი **(Anastasios Dagiuklas)** მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მისი თქმით დაწესებულების სტრატეგია არ იყო გასაგები. კერძოდ, სტრატეგიაში არ იყო წარმოდგენილი QPI (The Quality Performance Indicator) შესაძლებლობების ძირითადი ინდიკატორები, რომელიც ხელმძღვანელებს ეხმარება პროცესებისა და საქმიანობის შეფასებაში, ასევე განსაზღვრული არ იყო ძირითადი პრიორიტეტები.

მეორე ნაწილი ეხებოდა ჰოლისტიკურ მიდგომას QPI-ების მიმართ. მისი თქმით, აუცილებელია, რომ იყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა QPI-ების განსაზღვრაში, თუმცა ეს არის დაწესებულების ხელმძღვანელების გადასაწყვეტი. ასევე, ექსპერტმა განაცხადა რომ, საგანმანათლებლო პროგრამების მისაღწევ შედეგებში უნარ-ჩვევების ნაწილი განსაზღვრული უნდა იყოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე.

ასევე, ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ სტრუქტურულად ადმინისტრაციის შემადგენლობის ბევრი დეპარტამენტის ფუნქციები იკვეთებოდა და ფარავდა ერთმანეთს. ექსპერტის განცხადებით არ იყო ნათელი სკოლისა და დეპარტამენტების მისია და ურთიერთკავშირი ამ დეპარტამენტებსა და კვლევით ცენტრებს შორის. შესაბამისად, მისი თქმით მნიშვნელოვანი იყო რესტრუქტურიზაცია, რომელიც დაწესებულებას დაეხმარებოდა რესურსების დაზოგვაშიც. დადებითი ფაქტორი იყო ის, რომ გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამები იყო აკრედიტებული. თუმცა, მისი თქმით, აუცილებელი იყო, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით გაფართოვებინა საქმიანობა და ეზრუნა ყველა პროგრამაზე გავრცელებულიყო აკრედიტაცია. ასევე, აუცილებელი იყო კვლევების სტრატეგიის გადახედვა და კვლევის მიმართულებით რესურსების ოპტიმიზაცია. ექსპერტის თქმით იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მათ მიიღეს შეფასების პროცესში, არსებობდა ახალი აკადემიური პერსონალის საჭიროება კვლევითი საქმიანობის მიმართულებით და კვლევითი მახასიათებლები უნდა განსაზღვრულიყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

რაც შეეხება დოქტორანტურის სტუდენტებს, ექსპერტმა განაცხადა, რომ კვლევისთვის და მათი საქმიანობისთვის გამოყოფილი დაფინანსება არ იყო საკმარისი, რადგან მათ სწავლასთან უწევდათ სამსახურის შეთავსება და ასევე დოქტორანტების ინგლისურის ცოდნის დონეც აუცილებლად გადასახედი იყო და საჭიროებდა გაძლიერებას.

ექსპერტის თქმით დაწესებულების ინფრასტრუქტურა მეტწილად გამართული იყო. საკმარისი იყო სასწავლო ობიექტები, თუმცა, ინფრასტუქტურა საჭიროებდა განახლებას და რემონტი იყო ჩატარებული სხვადასხვა შენობაში. ასევე აუცილებელი იყო რემონტის ჩატარება სხვა სასწავლო ობიეტებზეც. საერთაშორისო ექსპერტის თქმით, ვიზიტისას გამოჩნდა რომ, ზოგიერთი ობიექტის შენახვა და მომსახურება იყო საკმაოდ ძვირი. შესაბამისად, ექსპერტმა დაწესებულებას მისცა რჩევა, რომ აქტივობების დაგეგმვისას ასევე, აუცილებელი იყო ხარჯების ოპტიმიზაციაც.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ექსპერტმა განაცხადა, რომ რესურსები იყო საკმარისი, მაგრამ დასკვნაში აისახა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად სკოლებისთვის ან სხვადასხვა მიმართულებებისთვის რესურსების დამატებას.

ექსპერტი ანზორ ბერიძე მიესალმა დაწესებულების წარმოამდგენლებსა და საბჭოს წევრებს. მან დაამატა, რომ რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია და მოხდა აღნიშნულის გათვალისწინება. მაგალითად მოიყვანა 26-ე რეკომენდაცია, რომელიც დოქტორანტურის სტუდენტებისთვის დაფინანსების გადახედვას მოითხოვდა. თუმცა მისი თქმით, დაწესებულების პოზიცია გასაგები იყო, რადგან საკმარისი რესურსი არ არის სრულად დაფინანსებისთვის. შესაბამისად, მოცემული მიგნება გადავიდა რჩევაში.

ასევე ექსპერტი შეეხო 6.1 რეკომენდაციას, რომელიც ეხება სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობის განსაზღვრას. დაწესებულაბას ამ ნაწილში ჰქონდა ბევრი ცვლილება

განხორციელებული, თუმცა ჩანაწერი, რომ დოქტორის ხარისხის კანდიდატს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნება, იძლეოდა სხვადასხვა აღქმის საშუალებას. შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესორ მასწავლებლებსა და სტუდენტებს. მათი აზრით, მოცემული ჩანაწერი ნიშნავს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო პუბლიკაცია, რომელიც იქნება ინდექსირებული საერთაშორისო ბაზებში. ექსპერტმა ასევე, გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ რამდენიმე სტუდენტს უკვე ჰქონდა საერთაშორისო პუბლიკაცია. თუმცა ესქპრტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული მოთხოვნა უნდა გავრცელებულიყო ყველა დოქტორანტზე. შესაბამისად, რეკომენდაციად დატოვეს სადოქტორო კვლევის საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების საკითხი.
რაც შეეხება 7.1 რეკომენდაციას, დაწესებულებას ჰქონდა მიმდინარე და განხორციელბული ინფრასტრუქტურული პროექტები. თუმცა მაინც იყო ისეთი ინფრასტრუქტურა დარჩენილი, რომელსაც სჭირდებოდა განახლება. შესაბამისად, ექსპერტებმა რეკომენდაციად დატოვეს, რომ დაწესებულებას წარმოედგინა 3 წელზე გათვლილი შესაბამისი გეგმა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ რემონტი მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსს, ექსპერტმა მიმართა საბჭოს, რომ განეხილა რამდენად საჭირო იყო მოცემული რეკომენდაცია.
ექსპერტი, გიაოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ზოგიერთ შეთხვევაში დაბალი იყო როგორც მაგისტრატურის, ისე დოქტორანტურის საფეხურზე უცხო ენის ცოდნის დონე. შესაბამისად ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს შესაბამისი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას გაეძლიერებინა სამეცნიერო კომუნიკაციის ენის, კერძოდ, ინგლისური ენის დონე. ასევე, მისი აზრით მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებას გადაეხედა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მისაღები გამოცდებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები უცხო ენის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებით.
ექსპერტი ეკატერინე ფიფია მიესალმა დაწესებულების წარმოამდგენლებსა და საბჭოს წევრებს. მისი თქმით, ექსპერტები გაეცნენ 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას და დაადგინეს, რომ დაწესებულებამ შეასრულა ბევრი რეკომენდაცია და განვითარდა. თუმცა, მისი თქმით მათი ახალი რეკომენდაციები კიდევ უფრო დაეხმარება დაწესებულებას განავითაროს ფაკულტეტები.
ექსპერტი ია ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს. მისი თქმით ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა საჭიროდ ჩაათვალეს, რომ მაინც დაეტოვებინათ გაცემული რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, დავით გურგენიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. რექტორმა განაცხადა, რომ ისინი ითვალისწინებდნენ ექსპერტების მეირ გაცემულ რეკომენდაციებს. ასევე განაცხადა, რომ დაწესებულება ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია რეგიონში. შესაბამისად აუცილებლად გაითვალისწინებენ რეკომენდაციებს. რექტორმა აღნიშნა, რომ რამდენიმე შენობა უკვე რეკონსტრუქციის პროცესში იყო. ასევე ჰქონდათ ახალი საგანმანათლებლო პროგრამა აგრარული მიმართულებით. ასევე განაცხადა, რომ ბევრ საერთაშორისო კოლაბორაციაში მონაწილეობდნენ დაწესებულების სტუდენტები. ასევე ისაუბრა ექსპერტების მიერ ნახსენებ დაფინანსებაზე, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი სრული დაფინანსებისთვის. თუმცა მიმდინარეობდა ამ საკითხზეც კომუნიკაცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოადგენდა დაწესებულების პოზიციას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ.
პირველი სტანდარტის რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულება არ ითვალისწინებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებს. დაწესებულების

წარმომადგენლის თქმით მოცემული არ შეესაბამებოდა რეალობას, რადგან მისი თქმით, დაწესებულება სრულად თანხვედრაში იყო გაეროს მიზნებთან.თვითონ დაწესებულების სტრატეგიაში იყო მითითებული, რომ საუკეთესო ხარისხისთვის აუცილებელი იყო ევროპული ცოდნის გაზიარება. შესაბამისად, მისი თქმით, დაწესებულება გეგმავდა ახალ გაცვლით და ერთობლივ პროგრამებსა და კონსორციუმებში მონაწილეობას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ასევე, რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ საინჟინრო ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები მაქსიმალურად ორიენტირებული ყოფილიყო ბაზრის მოთხოვნებზე. ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებების კვლევებს უნდა ჰქონოდა საზოგადოებრივი სამართლებრივი და კულტურული რელევანტურობა. შესაბამისად, მისი თქმით გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან „მიზანი 1“ - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, „მიზანი 8“ - ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა და „მიზანი 10“ - შემცირებული უთანასწორობა თავიდან ბოლომდე იყო გათვალისწინებული. ასევე დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა „მიზანი 5“ გენდერული თანასწორობა, რადგან დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული გენდერული თანასწორობის გეგმა. მაგალითად, სრული პერსონალიდან დაწესებულებაში კაცი იყო 1725 ხოლო ქალების რაოდენობა წარმოადგნდა 1843. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მამაკაცთა რაოდენობა შეადგენდა 648-ს და ქალთა რაოდენობა შეადგენდა 538. სამეცნიერო პეროსნალში მამაკაცი იყო 177 და ქალთა რაოდენობა შეადგენდა 153-ს.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, რეკომენდებულია დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს დაწესებულების საქმიანობის სტატეგიული ორიენტირი მისი დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის მიმართ. დავით მახვილაძის თქმით, დაწესებულებას აქვთ 5 ფუნდამენტური ღირებულება: ავტონომიურობა, აკადემიური თავისუფლება, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, თანასწორობა და განჭირვალობა და სწავლისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაცია. მოცემულის განხორციელება დაწესებულების წარმომადგენლის თქმით იყო დამოკიდებული ბევრ ობიექტურ გარემოებაზე. თუმცა მოცემული გარემოებების მართვა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იყო სრულად.

დავით მახვილაძემ, ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაწესებულების მიერ შეთავაზებული ყველა პროგრამა იყო აკრედიტებული და რომ ყველა აკრედიტებული პროგრამა იყო დადებითად შეფასებული აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს მიერ. შესაბამისად, მისი თქმით დაწესებულება ყველანაირად უზრუნველყოფილი იყო ხარისხის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 7 სტრატეგიული მიმართულებითა და 20 სტრატეგიული მიზნით, დაწესებულება სრულად პასუხობდა შესაბამის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავებისას. დავით მახვილაძის თქმით, მისიას ცვლილება არ განუცდია. ცვლილება განიცადა, მხოლოდ სტრატეგიამ, რომელიც იყო წარდგენილი ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

მეოთხე რეკომენდაცია მოითხოვდა 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრას. აღნიშნულთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ თითოეულზე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში გათვალისწინებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები. შესაბამისად, მისი თქმით რეკომენდაციის საჭიროება არ არსებობდა ამ მიმართულებით.

რეკომენდაცია 5 გულისხმობდა შვიდი სტრატეგიული მიმართულებიდან ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულებისათვის ურთიერთკავშირის რუკების მიწოდებას. დაწესებულების თქმით, თითოეულ ამოცანას ჰქონდა თავისი შეესრულების ინდიკატორი და განსაზღვრული იყო წამყვანი და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ

თანამშრომლობით შეესრულებინათ კონკრეტული ამოცანა. დავით მახვილაძის თქმით, დაწესებულება ფლობს ,,ISO“ სერტიფიკატს. შესაბამისად, მისი სტრუქტურული ერთეულების მუშაობა შეესაბამებოდა ამ სტანდარტებს.
მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიაში თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის გათვალისწინებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მოცემული წარმოადგენდა დაწესებულების ღირებულებებს. თუმცა შეუძლებელი იყო ღირებულებების სტრატეგიაში პირდაპირ გაწერა. შესაბამისად, სტრატეგიის მიზნების განხორციელებისას დაწესებულება ითვალისწინებს მოცემულ ღირებულებებს.
მეშვიდე რეკომენდაციით რეკომენდებული იყო ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება. დავით მახვილაძის თქმით წელიწადში ორჯერ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი იღებდა ინფორმაციას შესრულებულ სამუშაოზე, შემდგომ მზადდებოდა ანგარიში, რომელიც ეგზავნებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შემდგომ ის დარდებოდა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან და უკვე დასრულებული ანგარიში გადიოდა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე.
რაც შეეხეება მერვე რეკომენდაციას ოპტიმიზაციის შესახებ, დავით მახვილაძის თქმით დაწესებულება მუშაობს მოცემულის შესრულებაზე და იზიარებს რეკომენდაციას.
მეცხრე რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი ცენტრების ჩამოყალიბებას და მათ კავშირს აკადემიურ დეეპარტამენტებთან. წარმომადგენლის თქმით ექსპერტები იყვნენ დაწესებულების მათემატიკურ ინსტიტუტში, რომლებიც ფაკულტეტთან ერთად ასრულებენ კვლევით სამუშოს.
მეათე და მეთერთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს მათ, რადგან მისი თქმით რეკომენდაციაში მოცემული პროცესების განხორციელება დაწესებულებაში მათი ხედვით მიმდინარეობს სწორი გზით.
მეთორმეეტე რეკომენდაცია ეხებოდა უფრო მოქნილი ფორმატის შემუშავებას კითხვარების შევსებისთვის, რომ ის არ ყოფილიყო სავალდებულო. რადგან აღნიშნული წესი ხელს შეუშლიდა რეალური შედეგის მიღებას. პირველი რაც გაკეთდა 4 წლის განმავლობაში იყო ის, რომ ადამიანური შეცდომის ფაქტორის ბოლომდე გამოსარიცხად ყველა მნიშვნელოვანი პროცესი მაქსიმალურად გადაიტანეს ტექნოლოგიებზე. სადაც ადამიანი მხოლოდ დამუშავებულ ინფორმაციას იღებდა. დავით მახვილაძის თქმით, მათ გააჩნდათ სოფტით უზრუნველყოფილი კითხვარები, სადაც არსებობობდა მხოლოდ და მხოლოდ უნიკალური კოდები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ანონიმურობას და ნებათყოფლობითობას. მისი თქმით, მხოლოდ 1 ღილაკზე დაჭერა იყო საჭირო, რომ 18 000 სტუდენტისთვის გაგზავნილი ყოფილიყო ინფორმაცია, მათთვის რელევანტური შეკითხვები მათ პედაგოგების, სასწავლო კურსების შეფასებაზე და ა.შ. მისი თქმით, მოცემულ კითხვარებს შეეძლო მიზნობრივად კონკრეტული საფეხურისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მიეცა რელევანტური შეკითხვები, მაგრამ არცერთ შემთხვევაში - სავალდებულო სახით. მისი თქმით, აქვთ პრეტენზია, რომ ობიექტურად შეფასდნენ და არავინ წინასწარ კითხვა-პასუხზე არ მოემზადებინათ.
მეჩვიდმეტე რეკომენდაცია, ეხებოდა პერსონალის ინდივიდუალურ შეფასებებს, რომლის შესახებაც ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა წარმოადგინა პოზიცია და დაწესებულება სრულად იზიარებს ამ რეკომენდაციას.
დავით მახვილაძის თქმით, ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალის თანაფარდობებთან მიმართებით არის გარკვეული ოპტიმიზაცია საჭირო და ამ კუთხით გაიცა რეკომენდაცია. დაწესებულებამ რჩევის სტატუსით ეს ყველაფერი გაიზიარა. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ საბჭოს წევრებს სწორად გაეგოთ. ამ მიმართულებით, მათ 2020 წლიდან დღემდე დაახლოებით 24%, ანუ ¼ კლება ჰქონდათ ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, თუმცა ამ უნივერსიტეტის სპეციფიკა იმგვარი იყო, რომ ათობით და ასობით ლაბორატორიის პირობებში ამ მიმართულებებს სჭირდებდათ მაგალითად ლაბორანტების შტატი, რომელიც ისეთ უნივერსიტეტებს, რომელსაც ამგვარი საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებები არ აქვს, არ სჭირდება. ამიტომ, დამხმარე პერსონალში გადიოდა ლაბორანტების შტატი. აქედან

გამომდინარე, არსებობდა გარკვეული სპეციფიკა ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც ისინი ვერ შეცვლიდნენ და შეიძლება სტანდარტულზე ცოტა უფრო მეტი ჩანდა დამხმარე პერსონალი, მაგრამ,ეს იყო ობიექტური აუცილებლობა, რომლის გარეშეც სასწავლო და პრაქტიკული, განსაკუთრებით კვლევითი პროცესი ვერ წარიმართებოდა და ამის წარმოდგენა სურდათ ნათლად.

მეოცე რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის მართვის პოლიტიკას, რომელთან მიმართებაშიც მოხდა ვებ-გვერდზე გარკვეული რებრენდინგი. დავით მახვილაძის თქმით, მთელი ფილოსოფიის და პოლიტიკის დოკუმენტები დაიდო და პრაქტიკულად ორ წელიწადნახევარი მიმდინარეობდა ვებ-გვერდის რებრენდინგის პროცესი. თავიდან ბოლომდე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ორ ენაზე ჰქონდათ წარმოდგენილი. და ყველა დოკუმენტი იყო ხელმისაწვდომი, მაგრამ თუ მაინც რაიმე ნაკლულებას ხედავდა ექსპერთთა ჯგუფი, ეს მისი აზრით რჩევა უნდა ყოფილიყო, და არა რეკომენდაცია.

ოცდამეცხრე რეკომენდაცია ეხებოდა 4.2 სტანდარტს, სადაც საუბარი იყო რომ რეკომენდებულია დოქტორანტების მიერ ყველა ნაშრომი (არა მხოლოდ დასრულების დისერტაციის სახით) შემოწმდეს პლაგიატზე (ჟურნალის ხელნაწერები, კოლოქვიუმები, თემატური სემინარები), რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას. დაწესებულება ამ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდა, რადგან მათი აზრით ეს შემოწმება უნარების განვითარებას არ შეუწყობს ხელს, აქ ალბათ გარკვეული ტექნიკური ხარვეზი იყო რეკომენდაციის ჩამოყალიბების დროს, მაგრამ ასევე არსებობდა მეორე მოცემულობა რომ არცერთი ნაშრომი სადოქტორო საფეხურზე დისერტაციის დაცვაზე არ გადიოდა, თუ არ შემოწმდება strikeplagiarism.com-ზე ნაშრომის ვალიდურობა. გარდა ამისა დავით მახვილაძის თქმით, მათ საკუთარი საგამომცემლო სახლი აქვთ. მისი თქმით, ამაში იხარჯება რესურსიც, რადგან თითოეული ნაშრომის გატარება მოითხოვოს ადმინისტრაციულ რესურსსა და მეორე მხრივ, თანხას. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა ჩათვალა, რომ არ იყოს რეკომენდაცია საჭირო მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ დოქტურანტებისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცესის გაუმჯობესება მომხდარიყო, დანიშნულ პროფესორებს ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდათ ამ მიმართულებით აღიარებული და საერთაშორისო ბაზებში გამოქვეყნებული ნაშრომები. ისინი აკრედიტაციას რომ გადიოდნენ, პრაქტიკულად ამ და სხვა ბაზებს ითვალისწინებდნენ და მათ ეს მოთხოვნები წინსწრებად ჰქონდათ უმეტესი წილი დაკმაყოფილებული, როგორც გამოქვეყნებების სამეცნიერო ბაზების აღიარების სტილში, ისე სამეცნიერო ხელმძღვანელების მიმართ წაყენებულ კრიტერიუმებში. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ეს რეკომენდაცია არ უნდა იყოს მოცემული ავტორიზაციის დასკვნაში.

ორმოცდამესამე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენებას, დაწესებულება ეთანხმება. თუმცა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ კიბერუსაფრთხოებაში დაწესებულებას ჰქონდა ყველაზე კარგი პრაქტიკა, ამიტომ მისი აზრით უკეთესი იქნებოდა რომ მოცემული რეკომენდაცია გადასულიყო რჩევაში.

რეკომენდაციებზე საუბარი გააგრძელა ვიცე-რექტორმა თამარ წერეთელმა. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს. მისი თქმით, პროგრამული უზრუნველყოფის strikeplagiarism.com პლაგიატის პროგრამაში ატარებენ ყველა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომს.

შემდეგი თემა, რომელსაც ხაზი გაუსვა თამარ წერეთელმა იყო რეკომენდაცია უცხო ენასთან დაკავშირებით. მისი თქმით ყველა საფეხურზე იყო ინგლისური ენა სავალდებულო მოთხოვნა და ასევე ის ევროპული ენები, როგორიც არის მაგალითად გერმანული და ფრანგული. ამიტომ მისი თქმით, რომელ ენასაც აირჩედა სტუდენტი იმ ენის ტესტს წერდა ან საერთაშორისოდ აღიარებულ B2 დონის სერტიფიკატს წარადგენდა საგამოცდო ცენტრში. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი და სტუდენტების თითქმის 90% ინგლისურ ენაზე საუბრობდნენ და არ ჰქონდათ ენის პრობლემა.

რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრას. მისი თქმით აკადემიური პერსონალი კონკურსის წესით ირჩევა, საბჭოზე განიხილება დეტალურად და პროგრამების მიხედვით შერჩეული იყო მონათესავე ჯგუფი და მის მიხედვით განისაზღვრებოდა აკადემიური დატვირთვები, ანუ რამდენი აკადემიური პერსონალი უნდა იყოს პროგრამაში (პროფესორი, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი,ასისტენტი) და განისაზღვრებოდა აგრეთვე კონკრეტულ საგანთა ჯგუფში მოწვეული პერსონალის რაოდენობაც.

ოცდამეოთხე რეკომენდაცია, რომელიც თამარ წერეთელის აზრით ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ეხებოდა სტატუსშეჩერებულ სტუდენტების რაოდენობის შემცირების მექანიზმს, მისი თქმით აღნიშნული პრობლემა არ ეხებოდა მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს, არამედ გლობალურად ყველა ქართულ საუნივერსიტეტო დაწესებულებას. თამარ წერეთელმა აღნიშნა, რომ 2023 წელს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით მიეცათ საშუალება სასწავლო პროცესის გაგრძელებისა და აბსოლუტურად ყველა სტუდენტს გუანულდა დავალიანება და თავისი სურვილით ვინც აღიდგინა სტატუსი შეუერთდა სასწავლო პროცესს. მან ასევე აღნიშნა რომ, კოვიდ პანდემიის პირობებში მათ არცერთი სტუდენტისთვის სტატუსი არ შეუჩერებიათ და მათთან მიმდინარეობდა ინდივიდუალურად მუშაობა თანხის განაწილების თაობაზე.

დაწესებულების ვიცე-რექტორი თამარ ლომინაძე, მიესალმა სხდომის მონაწილეებს. იგი შეეხო საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობას, როგორც აკადემიურ, ასევე კვლევით პროცესებში. მისი თქმით, ბოლო წლებში გაიზარდა საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა. შესაბამისად ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ უნივერსიტეტი მზად იყოს კარგი განათლება შესათავაზოს საერთაშორისო სტუდენტებს. თამარ ლომინაძემ მაგალითად მოიყვანა სტუდენტური კლუბები: ხელოვნური ინტელექტის კლუბი, სამედიცინო ინჟინერიის კლუბი, გიორგი ნიკოლაძის კლუბი, გუგლის დეველოპერების კლუბი, სადაც შემადგენლობის მინიმუმ 20-30% -ს საერთაშორისო სტუდენტები შეადგენენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები. სხდომის თავმჯდომარემ ასევე მიმართა ექსპერტებს თხოვნით, რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია პლაგიატთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ მიმართა ექსპერტებს კითხვით იმის შესახებ, თუ რატომ გახდა საჭირო დოქტორანტურის სტუდენტებისთვის უცხო ენის გამოცდის ხელახლა ჩატარება.

ექსპერტმა გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ გასაუბრების პერიოდში, როცა იყო ინტერვიუები სტუდენტებთან, სწორედ მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებმა ვერ გამოავლინეს შესაბამისი კომუნიკაციის უნარები ინგლისურ ენაში და სწორედ ამიტომ გაჩნდა მოცემული რეკომენდაცია ავოტორიზაციის დასკვნის დოკუმენტში, რომ გამახვილებულიყო ყურადღება მისაღბ გამოცდაზე და უფრო ყურადღებით ჩატარებულიყო მიღების შეფასების პროცესი, ასევე, სერთიფიკატების შემოწმებაზეც გაემახვილებინათ ყურადღება.

ექსპერტმა ანზორ ბერიძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია. მისი თქმით, რეკომენდაცია მხოლოდ მოითხოვდა, რომ მეტად მკაცრად ჩატარებულიყო უცხო ენის გამოცდა, რათა დაკმაყოფილებული ყოფილიყო სტანდარტი. ასევე პლაგიატთან დაკავშირებით მისი თქმით ნაშრომები პლაგიატზე მოწმდება და ეს მეტ-ნაკლებად დამტკიცებულიც იყო. თუმცა მოცემული საბჭოს გადასაწყვეტია დარჩეს რეკომენდაციად, თუ გადავიდეს რჩევაში.

რაც შეეხება რეკომენდაცია 3.1 და 3.2, სადაც საუბარი იყო ნაშრომის დაცვის წინაპირობაზე და ხელმძღვანელის მოთხოვნების შესრულებაზე. ექსპერტის თქმით, გასაგები იყო, რომ ახალი სტანდარტი დამატებით მოთხოვნებს აწესებდა, მაგრამ როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების განმარტებით, დაწესებულება მოცემულ სტანდარტს ასრულებდა.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საერთაშორისო ექსპერტმაც და განმარტა, რომ როდესაც გასაუბრებები ჰქონდა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან, მათ უჭირდათ კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა მათთვის ინგლისურენოვანი ნაშრომების დაწერა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ გააკეთა კომენტარი, რომ პლაგიატის შემოწმებას ყველა ნაშრომი გადის. ასევე, დაამატა რომ დოქტორანტურის სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ შეემოწმებინათ თავიანთი ნაშრომი პლაგიატზე, რადგან დაწესებულებას ანტიპლაგიატის პროგრამა ნაყიდი აქვს. რაც შეეხება დოქტორანტების ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარს, მისი აზრით, აუცილებელია გადაიხედოს, როდის მიიღეს დოქტორანტები და როდის მიიღეს მათ მოთხოვნა ინგლისურ ენის შეფასებაზე.
საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ გააკეთა კომენტარი ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რომ მოცემულ ტექნოლოგიას უკვე ისე შეუძლია ტექსტის გადაკეთება, რომ პლაგიატის ამომცნობი ვერც მიხვდეს, რომ ნაშრომი პლაგიატია. თუმცა, მისი თქმით მოცემული გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.
დაწესებულების წარმომადგნელემა განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის შემთხვევაში შესაბამისი ეთიკის საბჭო, სადაც ხდება სტუდენტთან პირისპირ გასაუბრება. შესაბამისად, დაწესებულება არ დაეთანხმა მოცემულ რეკომენდაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება
დაწყები დრო: 15:44
დასრულების დრო: 16:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 27 690 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -10
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ 211349192) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 27 690 -ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 27 სექტემბერს.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს სტუ-ს საქმიანობის სტრატეგიული ორიენტირი მისიის დოკუმენტით განსაზღვრული ოთხი საყრდენის შესაბამისად (კომპონენტი 1.1);

• რეკომენდებულია, მისიის განაცხადი დაკავშირებული იყოს მიზნებთან, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი და გაზომვა (კომპონენტი 1.1);

• რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მისიის შემუშავების პროცესში (კომპონენტი 1.1);

• რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულების ხარისხობრივი საზომის განსაზღვრა და მათი დაკავშირება პრიორიტეტებთან (კომპონენტი 1.2);

• რეკომენდებულია, 7 სტრატეგიული მიმართულებიდან სტრუქტურული ერთეულებისთვის ურთიერთკავშირის რუკების მიწოდება (კომპონენტი 1.2);

• რეკომენდებულია, ყველა სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი და შეფასება უმაღლეს დონეზე (კომპონენტი 1.2);

• დაწესებულებას აქვს დიდი რაოდენობით ფაკულტეტები (ასევე, რამოდენიმე ფაკულტეტზე არის დეპარტამენტების დიდი რაოდენობა) და კვლევითი ინსტიტუტები. რეკომენდებულია, ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და შესაბამისად ფაკულტეტების სახელწოდებების შეცვლა (კომპონენტი 2.1);

• რეკომენდებულია, კვლევითი ცენტრების როლის ჩამოყალიბება და მათი ურთირთკავშირი აკადემიურ დეპარტამენტებთან (კომპონენტი 2.1);

• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც გააერთიანებს ყველა ფაკულტეტის მონაცემებს, საერთო აკადემიური მოსწრების და ტენდენციების შესახებ ღირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც გამოავლენს საერთო ძლიერ მხარეებს და გასაუმჯობესებელ სფეროებს (კომპონენტი 2.2);

• რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების და რესურსების (მაგ. ბიბლიოთეკის) კვლევევბის განხორციელების და განხილვის უფრო სისტემატური ყოველწლიური გრაფიკი. პროგრესზე დაკვირვების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია აღნიშნული კვლევების შედეგების სისტემატიური ანალიზი და ყოველწლიური შედარება. აღნიშნული რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას (კომპონენტი 2.2);

• უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გამოცდილების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, რომ კითხვარების შევსება არ იყოს სავალდებულო მხოლოდ ზოგიერთი სტუდენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის ნებაყოფლობით და ჭეშმარიტ უკუკავშირს, სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ ინფორმაციაზე მათი წვდომის შეზღუდვის გარეშე (კომპონენტი 2.2);

• რეკომენდებულია, უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების გაძლიერება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებისთვის (კომპონენტი 3.2);

• რეკომენდებულია, მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის გაძლიერება, ან გასაუბრების ჩატარება, ან მოთხოვნებში ნაშრომის შესრულების კომპონენტის დანერგვა (კომპონენტი 3.2);

• რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი (კომპონენტი 4.1);

• რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ფაკულტეტის / სკოლის დონეზე, არამედ უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით (კომპონენტი 4.1);

• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია და გააუმჯობესოს ადმინისტრაციული / დამხმარე

პერსონალის თანაფარდობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით (კომპონენტი 4.1);
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კომპონენტი 4.2);
• რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტების სათანადო დონეზე ინფორმირება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი უფლება აირჩიონ ან იყვნენ არჩეულები თვითმმართველობის წევრებად (კომპონენტი 5.1);
• რეკომენდებულია, სტიპენდიებთან დაკავშირებული პროცესების ფორმალიზება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სტანდარტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისთვის (კომპონენტი 5.2);
• რეკომენდებულია, დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის მენტორული მხარდაჭერის და ტრენინგების უზრუნველყოფა (კომპონენტი 6.1);
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით ხელახლა განახორციელოს ინგლისური ენის გამოცდა (კომპონენტი 6.1);
• რეკომენდებულია, სხვადასხვა ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობითი, მულტიდისციპლინური კვლევითი აქტივობების ჩამოყალიბება. (კომპონენტი 6.1);
• რეკომენდებულია, არსებითად გაიზარდოს გამოქვეყნებები და წვლილი (კონტრიბუცია) მაღალი ხარისხის ჟურნალებში (ერთზე მეტი ინფაქტ ფაქტორი, Q1 ან Q2 "scimago" ჟურნალების კლასიფიკაციის მიხედვით) (კომპონენტი 6.1);
• რეკომენდებულია, დაზუსტდეს სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობები, მათ შორის სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა Web of Science ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების მიერ ინდექსირებულ ჟურნალში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დოქტორანტებისთვის ERIH Plus მონაცემთა ბაზაში (კომპონენტი 6.1);
• რეკომენდებულია, დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურის გაუმჯობესება. დანიშნულ პროფესორს ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები, რომელიც დაკავშირებული იქნება სადისერტაციო თემასთან, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები Web of Science ან Scopus მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში, ხოლო ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ERIH Plus მონაცემთა ბაზაში (კომპონენტი 6.1);
• უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური სტრატეგია და წახალისების სისტემა კვლევის მხარდაჭერის მიზნით ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. (კომპონენტი 6.2);
• რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების შესრულების შედარების მიზნით გამოიყენოს ისეთი საზომი, როგორიც არის ციტირების რაოდენობის გამოთვლა, FWCI, i10 (კომპონენტი 6.3);
• რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოიყენოს კვლევის ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი ახალი კვლევითი სტრატეგიის დასაგეგმად სამომავლო განვითარების მიზნით (კომპონენტი 6.3);
• რეკომენდებულია დაწესებულებამ მოამზადოს დაწესებულების ყველა შენობის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური სარემონტო გეგმა (ლაბორატორიების, სანიტარული კვანძების, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს, კვების ობიექტების), (მაქსიმუმ სამი წელი) და განსაზღვროს სავარაუდო ბიუჯეტი (კომპონენტი 7.1);

• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში უნდა უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმა და განათავსოს სპეციალური ნიშნები (კომპონენტი 7.1);
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თითოეულ შენობაში გამოყოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (კომპონენტი 7.1);
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესში როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურები (კომპონენტი 7.1)
• რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილი იყოს ოთახები ჯგუფური პროექტებისთვის (კომპონენტი 7.2);
• რეკომენდებულია, ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვა (კომპონენტი 7.3)
• რეკომენდებულია, კომპიუტერებში მოძველებული კიბერ - რისკის ოპერაციული სისტემის შეცვლა (კომპონენტი 7.3);
• რეკომენდბულია, ქსელებზე უკანონო წვდომის საწინააღმდეგო პროგრამის დაყენება (კომპონენტი 7.3);
• რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მოამზადოს სტრატეგიული / სამოქმედო გეგმა შენობების, ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების რეაბილიტაციის / რემონტის შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით, რეკომენდებულია ფინანსური გეგმის გადახედვა და ეფექტურობის შეფასების მიზნით ძირითადი შესრულების ინდიკატორების გამოყენება (კომპონენტი 7.4).

რჩევები

• სასურველია, საერთაშორისო ხედვამ გამოიყენოს ისეთივე პრაქტიკა, როგორიც დანერგილია ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის გერმანია, ნიდერლანდები, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი (კომპონენტი 1.1);
• სასურველია, პრიორიტეტების შესაბამისობის უზრუნველყოფა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებთან და ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებთან, უნარების და კომპეტენციების თვალსაზრისით (კომპონენტი 1.2);
• სასურველია, ინდუსტრია 4.0 - ის ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მისი მორგება სწავლებაზე და სწავლაზე (კომპონენტი 1.2);
• სასურველია სტრატეგიულ მიზნებში თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიურობის გათვალისწინება (კომპონენტი 1.2);
• სასურველია, უნივერსიტეტის ინგლისურენოვან დოკუმენტებში არ იყოს გამოყენებული ტერმინი „უცხოური“ და გამოიყენებოდეს ტერმინი „საერთაშორისო“, რაც გამოხატავს უფრო ინკლუზიურ და გლობალურ მიდგომას (კომპონენტი 2.1);
• სასურველია, გადაიხედოს სახელწოდება „საერთაშორისო დიზაინის სკოლა“ და ეწოდოს „საერთაშორისო დიზაინის ფაკულტეტი“ ან მსგავსი სათაური, იმისათვის რომ შეესაბამებოდეს სხვა ფაკულტეტების დასახელების კონცეფციას და უზრუნველყოს თანმიმდევრულობა, სიცხადე და უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის და წესდების სახელმძღვანელო მითითებების დაცვა (კომპონენტი 2.1);
• სასურველია, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების გაძლიერება, რაც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის და წარმომადგენლობითი საბჭოების მართვის საკითხებში (კომპონენტი 2.2);
• სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა უნდა შეეხოს აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების და აკადემიური

პერსონალის ცნობიერების ამაღლებას ეთიკურ შედეგებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა მათი წვლილის კეთილსინდისიერების და ორიგინალურობის შესანარჩუნებლად (სტანდარტი 2.3);
• სასურველია, უცხო ენებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, როგორიც არის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ., უნივერსიტეტმა უპირატესობა მიანიჭოს ინგლისურ ენას, სადაც ეს შესაძლებელია და სასურველია (კომპონენტი 3.2);
• სასურველია, დაწესებულებამ შექმნას ციფრული პლატფორმა, რომელიც შეძლებს სისტემატურად მართოს სწავლის შედეგების შეფასება (კომპონენტი 3.3);
• სასურველია, დაწესებულებამ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები (კომპონენტი 4.1);
• სასურველია, დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდელი (სასწავლო საათების რაოდენობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები) ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი დოქტორანტების და კვლევითი პროექტების რაოდენობის გათვალისწინებით (კომპონენტი 4.2);
• სასურველია ინსტიტუციამ უზრუნველყოს, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ აირჩიონ, ან კენჭი იყარონ წარმომადგენლებად სენატსა და საფაკულტეტო საბჭოში, ასევე ამ საბჭოებში სტუდენტი წევრების როლისა და ფუნქციების შესახებ (კომპონენტი 5.1);
• სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების სრულყოფილად ინფორმირება როგორც ეთიკის კომისიის, ასევე ეთიკის კოდექსის შესახებ (კომპონენტი 5.1);
• სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი მექანიზმები (როგორიც არის სწავლის საფასურის დაყოფა 4 - ზე მეტ ნაწილად) იმისათვის რომ შეამციროს ფინანსური პრობლემების გამო სტატუს შეჩერებული სტუდენტების მაჩვენებელი (კომპონენტი 5.2);
• სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტრატეგია სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით (კომპონენტი 5.2);
• სასურველია, გაუმჯობესდეს დოქტორანტურის თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან (კომპონენტი 6.1);
• სასურველია, ხშირად განხორციელდეს დოქტორანტების ანონიმური გამოკითხვები მათი პრობლემების იდენტიფიცირების და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით (კომპონენტი 6.1);
• სასურველია დოქტორანტების მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი (არა მხოლოდ დასრულებული დისერტაცია) შემოწმდეს პლაგიატზე (ჟურნალის ხელნაწერები, კოლოქვიუმები, თემატური სემინარები), რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას (კომპონენტი 6.1);
• სასურველია დოქტორანტების სტიპენდიის საფასურის გადახედვა (კომპონენტი 6.1);
• სასურველია როგორც აკადემიური პერსონალისთვის ასევე დოქტორანტებისთვის google scholar - ის პროფილების შექმნა (კომპონენტი 6.2);
• საერთაშორისო აღიარების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის არანაკლებ 80% ჩართული იყოს საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში. (კომპონენტი 6.2);
• სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს კვლევის შედეგებს (კომპონენტი 6.2);
• სასურველია, თითოეული კვლევითი ცენტრისთვის განისაზღვროს სამოქმედო ვადა (მაგ. კვლევის სტრატეგია, ხედვა და პრიორიტეტები) (კომპონენტი 6.3);
• სასურველია უნივერსიტეტმა საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენოს Scopus (https://www.scopus.com/search) ან Scimago (https://www.scimagojr.com/) (კომპონენტი 6.3);

• სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების საკუთრების და სარგებლობის ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით (კომპონენტი 7.1);
• სასურველია, დაზუსტდეს დაწესებულების მიერ იჯარით გაცემული ფართი საჯარო რეესტრის დოკუმენტაციის მიხედვით (კომპონენტი 7.1);
• სასურველია, მომზადდეს სასწავლო ფართების შესახებ ერთიანი დოკუმენტი შენობების აზომვითი ნახაზების მიხედვით (კომპონენტი 7.1);
• სასურველია, მომზადდეს ლაბორატორიების მოკლე აღწერა, დაზუსტდეს თითოეული ლაბორატორიის საშუალო კვირეული დატვირთვა წინა სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით (მათ შორის სტუდენტების რაოდენობა) და შეფასდეს მისი გამოყენების ზრდის პოტენციალი (კომპონენტი 7.1);
• სასურველია, შენობებში ერგონომიული სკამების გამოყენება (კომპონენტი 7.1);
• სასურველია დაწესებულება გახდეს IEEE Xplore - ის გამომწერი (კომპონენტი 7.2);
• ზოგიერთი ლაბორატორიის (მაგ. მეტალურგიის გვირაბი) მოვლა-პატრონობა ჯდება ძალიან ძვირი. სასურველია მათი ჩანაცვლება პროგრამული ინსტრუმენტებით (კომპონენტი 7.4).

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
იოსელიანი თამარ